ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №16

10 აგვისტო, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-031821470-03; 02.08.2018);

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-031821470-03; 02.08.2018);

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-031821470-03; 02.08.2018).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

მომხსენებლები:

- **ნინო კვეტენაძე** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური;
- **გიორგი ებანოიძე** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო".

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის სხდომა წარიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

თ.ისაკაძე - განსახილველ პროექტს წარმოდგვიდგენენ მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.

ნ.კვეტენაძე - წარმოგიდგენთ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ", ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ" და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტებს (12-031821470-03; 02.08.2018).

წარმოდგენილი პროექტების მიხედვით, ინტერესთა გამოხატვის მიზანია მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზება.

ინტერესთა გამოხატვის პირობების მიხედვით, სამ სხვადასხვა ლოკაციაზე, მიწის ნაკვეთების გადაცემა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირებზე განხორციელდება პირდაპირი განკარგვის წესით, საკუთრების უფლების ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 ლარად.

აქვე აღსანიშნავია, რომ განკარგულებების პროექტების მიხედვით, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ განხორციელდება 2250 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ - 840 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ხოლო რკინიგზის სადგურის მიმდებარედ - 5084 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის გადაცემა.

წარმოდგენილი პროექტებით დეტალურად არის განსაზღვრული შემდეგი პირობები:

- პარკინგის მშენებლობის დასრულების დროს ავტოსადგომების მინიმალური ოდენობა უნდა იყოს: გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ - 175 ერთეული, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ - 70 ერთეული, ხოლო რკინიგზის სადგურის მიმდებარედ - 470 ერთეული.

- ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს უძრავი ქონება გადაეცემა მიწისზედა ტერიტორიის მშენებლობის/ოპერირების უფლების გარეშე, გარდა უშუალოდ და პირდაპირ ავტოსადგომის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (ჩასასვლელ-ამოსასვლელი კვანძების) მოწყობის უფლებისა. გამარჯვებულ პირს არ აქვს უფლება, შემოღობოს საპროექტო ტერიტორია ან/და რაიმე ფორმით შეზღუდოს მისი მიწისზედა საერთო საზოგადოებრივი სარგებლობა;

- ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია ავტოსადგომზე უზრუნველყოს ე.წ. „სმარტ პარკინგის“ სისტემის დანერგვა, რომელიც უნდა იყოს უნივერსალური და ინტეგრირებადი ქალაქში არსებულ ავტოსადგომების სხვა სისტემებთან;

- ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულმა პირმა ავტოსადგომზე ავტომანქანებისათვის განკუთვნილი ადგილების სულ მცირე 5% უნდა გამოყოს ელექტრო ავტომანქანებისათვის და აღნიშნულ ადგილებზე დაამონტაჟოს ელექტრომანქანების დასამუხტი მოწყობილობები;

- მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადად გეგშიძის ბაღისა და ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ განისაზღვრა - 18 თვე, ხოლო რკინიგზის სადგურის მიმდებარედ - 30 თვე.

შ. ოგბაიძე - მიმაჩნია, რომ თვისობრივად სულ სხვა ეტაპი დაიწყო დედაქალაქში, იქმნება ბიზნესისათვის ახალი სეგმენტი, პარკირება უმნიშვნელოვანესია თბილისისთვის. ჩვენ გვიწევს დედაქალაქისთვის უძვირფასესი ქონება უვადოდ გადავცეთ სხვას, რათა მოეწყოს მიწისქვეშა პარკინგი. საინტერესოა არის თუ არა გათვალისწინებული ყველა შესაძლო საფრთხე, მაგ: მიწისქვეშა კომუნიკაციების მიმართულებით და სხვ.

თ. ისაკაძე - არის თუ არა რისკები გათვალისწინებული, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოიქმნება სხვადასხვა სახის პრობლემები.

გ.ებანოიძე - კვლევა ჯერ კიდევ 2 წლის წინ იქნა ჩატარებული, რა დროსაც, გამოყენებულ იქნა სპეციალური სკანერი მიწისქვეშა კომუნიკაციების გამოსაკვლევად და გამოსავლენად. შესაბამისი მიმართვები გადაგზავნილია შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში", შპს ,,თელასსა" და ინტერნეტ პროვაიდერებთან, რომელთა სადენებიც არის ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე. ყველა დეტალი თანდართული აქვს პირობებს. შესაძლოა გამოვლინდეს მცირე მასშტაბის და ადვილად მოგვარებადი პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების მიხედვით, ნაკვეთებს პროფილი არ უნდა შეეცვალოს და მათზე მუდმივად საპარკინგე ზონა უნდა იყოს განთავსებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი.

ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ მომზადდეს და გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს კომისიის დასკვნები ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ", ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ" და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტებზე (12-031821470-03; 02.08.2018).

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე თედო ისაკაძე